PKF

Accountants &
business advisers

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი

დამოუკიდებელი მარწმუნებელი დასკვნა

2013 წლის საგადასახადო ანგარიშგებაზე

ნოემბერი, 2014

დამოუკიდებელი მარწმუნებელი დასკვნა

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელის" ხელმძღვანელობას

1. განსახილველი საკითხი

ჩვენ ჩავატარეთ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელის" (საიდენტიფიკაციო ნომერი 204858163, რეგისტრირებული 1991 წლის 29 ივლისს, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მერაბ კოსტავას ქ.#68) (შემდგომში „ორგანიზაცია") 2013 წლის საგადასახადო ანგარიშგების შემოწმება. ორგანიზაციის საგადასახადო ანგარიშგებაში იგულისხმება ყველა იმ გადასახადის შესაბამისად წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციები და გაანგარიშებები, რომლებიც შესაბამისი პერიოდებისათვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით შესაფერისი იყო ორგანიზაციისათვის.

კონკრეტულად ჩვენს მიერ შემოწმებული საგადასახადო ანგარიშგება მოიცავდა:

ა) ორგანიზაციის 2013 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციას;

ბ) ორგანიზაციის 2013 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციას;

გ) ორგანიზაციის 2013 წლის დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციებს;

დ) ორგანიზაციის 2013 წლის უკუდაბეგვრის დამატებული ღირებულების გადასახადის გაანგარიშებებს;

ე) ორგანიზაციის 2013 წლის გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციებს;

2. განსახილველი საკითხის შეფასების კრიტერიუმები

ორგანიზაციის საგადასახადო ანგარიშგების შემოწმებისას ანგარიშგების სისწორის კრიტერიუმები არის საქართველოს საგადასახადო კოდექსის (შემდგომში სსკ) მოთხოვნები. კონკრეტულად ორგანიზაციის საგადასახადო ანგარიშგების სისწორე ნიშნავს, რომ:

ა) ორგანიზაციის მიერ სწორად ხდება ყველა იმ გადასახადის განსაზღვრა, რომლის გადახდაც ორგანიზაციას ევალება შესაბამისი პერიოდისათვის მოქმედი სსკ-ს შესაბამისად;

ბ) ორგანიზაციის მიერ მისთვის შესაფერისი გადასახადების გაანგარიშებისას საგადასახადო ბაზების განსაზღვრა ხდება შესაბამისი პერიოდისათვის მოქმედი სსკ-ს შესაბამისად;

გ) ორგანიზაციის მიერ მისთვის შესაფერისი გადასახადების გაანგარიშებისას გადასახადის განაკვეთის შერჩევა ხდება შესაბამისი პერიოდისათვის მოქმედი სსკ-ს შესაბამისად;

დ) ორგანიზაციის მიერ მისთვის შესაფერისი გადასახადების მიხედვით დროულად და სწორად ხდება დეკლარაციების და სხვა ინფორმაციის წარდგენა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში სსკ-ის შესაბამისად;

ჩვენი სამუშაოს მიზანი იყო გამოგვევლინა ორგანიზაციის საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების არსებითი შეცდომები. ჩვეულებრივ არსებით უზუსტობაში იგულისხმება შეცდომის ის მაქსიმალური მნიშვნელობა, რომლის შემდეგაც ანგარიშგების კვალიფიციური მომხმარებელი უკვე ვეღარ შეძლებს ამ ანგარიშგების საფუძველზე სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებას. ამ ანგარიშის მიზნებისათვის არსებით უზუსტობად ჩაითვლება ისეთი უზუსტობა საგადასახადო აღრიცხვაში, რომლის შედეგადაც საგადასახადო დეკლარაციაში გადასახდელი გადასახადის თანხა შემცირებული იქნება 25,000 ლარზე მეტად.

PKF UBC Services is a member firm of the PKF International Limited network of legally independent firms and does not accept any responsibility or liability for the actions or inactions on the part of any other individual member firm or firms.

დამოუკიდებელი მარწმუნებელი დასკვნა (გაგრძელება)

3. ორგანიზაციის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ორგანიზაციის საგადასახადო ანგარიშგების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებასა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მოიცავს:

ა) შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც უზრუნველყოფს ისეთი საგადასახადო ანგარიშგების წარმოებას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების და მეთოდების შერჩევას და მათ მიზანმიმართულად გამოყენებას;

გ) სიტუაციისათვის შესაბამისი საბუღალტრო შეფასებების გაკეთებას და საკანონმდებლო მოთხოვნების სწორ ინტერპრეტაციას სსკ-ის მიხედვით გადასახადებით დასაბეგრი ბაზებისა და საგადასახადო ვალდებულებების თუ მოთხოვნების განსაზღვრისათვის;

ორგანიზაციის ხელმძღვანელობაა აგრეთვე პასუხისმგებელი შემოწმების პროცესში ჩვენთვის მოწოდებული დოკუმენტაციის წარმომავლობაზე და კანონიერებაზე, აგრეთვე ჩვენს მიერ ჩატარებულ შემოწმებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაციის სრულად და დროულად წარმოდგენაზე.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩავატაროთ ორგანიზაციის საგადასახადო ანგარიშგების შემოწმება და წარმოვადგინოთ ჩვენი მოსაზრება იმ უზუსტობებზე, რომლებსაც ჩვენი აზრით შეიცავს ორგანიზაციის საგადასახადო ანგარიშგება სსკ-ის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თუკი ასეთ უზუსტობებს გამოვავლენთ, ან დავადასტუროთ, რომ ჩვენი აზრით ორგანიზაციის საგადასახადო ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს და შეესაბამება სსკ-ის მოთხოვნებს.

შემოწმება ჩავატარეთ მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტ 3000-ის შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს გარიგების იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული, მაგრამ არა აბსოლუტური, რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის საგადასახადო ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი ორგანიზაციის და მასთან სამეურნეო ოპერაციებში მონაწილე საწარმოთა დოკუმენტების წარმომავლობაზე და იმ ინფორმაციაზე რომელიც არ იქნა წარმოდგენილი ორგანიზაციის მიერ ამ დასკვნის მომზადებამდე და რომლის გათვალისწინებაც შესაბამისად შეუძლებელი იყო სამუშაოს შესრულებისას, ანუ საგადასახადო პერიოდების მიხედვით გადასახადებით დაბეგვრის ობიექტების განსაზღვრისათვის.

5. შესრულებული სამუშაოს მოკლე მიმოხილვა

ჩვენს მიერ დათვლილი და ამ ანგარიშში წარმოდგენილი დამატებით გადასახდელი გადასახადების თანხები არის ჩვენი შეფასება, რომელიც მიღებულია ორგანიზაციის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე და ამ ინფორმაციის ანალიზზე სსკ-ის დებულებებზე დაყრდნობით.

დამოუკიდებელი მარწმუნებელი დასკვნა (გაგრძელება)

5. შესრულებული სამუშაოს მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მომზადებულია ორგანიზაციის ბუღალტრული ჩანაწერების, წარმოდგენილი საგადასახადო დეკლარაციების და ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა და ფინანსური პერსონალისაგან მოპოვებული ახსნა-განმარტებების ანალიზის საფუძველზე.

გარიგების ფარგლებში ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი პროცედურები:

(a) მოვიპოვეთ ორგანიზაციის საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები;

(b) შევისწავლეთ ორგანიზაციის საქმიანობა ზოგადად იმ მიზნით, რომ გავრკვეულიყავით მის ოპერაციებში და გავაანალიზეთ რა სახის გადასახადები იყო შესაბამისი ამ კონკრეტული ორგანიზაციისათვის მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შესამოწმებელ პერიოდში;

(c) მოვითხოვეთ შესამოწმებელი პერიოდის განმავლობაში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციები და დავრწმუნდით, რომ დეკლარაციები რეალურად იქნა ჩაბარებული საგადასახადო ორგანოებისათვის და რომ ისინი დროულად იქნა წარდგენილი;

(d) იმ მიზნით რათა ორგანიზაციისგან მიგვეღო ინფორმაცია შესაძლო ყველაზე კრიტიკულ საგადასახადო დაბეგვრის საკითხებზე გავესაუბრეთ ორგანიზაციის ხელმძღვანელებსა და შესაფერის პერსონალს და მათგან მივიღეთ ინფორმაცია მათი შეფასებით ყველაზე კრიტიკულ საგადასახადო საკითხებზე;

(e) თითოეული გადასახადისათვის გამოვკითხეთ შესაფერისი პერსონალი და გადავხედეთ ორგანიზაციის შესაბამის საბუღალტრო ჩანაწერებს რათა გაგვერკვია, როგორ ახდენს ორგანიზაცია დასაბეგრი ბაზების განსაზღვრას და აღრიცხვას და შევაფასეთ რამდენად სწორია დასაბეგრი ბაზის განსაზღვრის მიღებული მეთოდები;

(f) საბუღალტრო ჩანაწერების და დეკლარაციების გადახედვის და მენეჯმენტთან გასაუბრების გზით გადავამოწმეთ იყენებს თუ არა ორგანიზაცია, და თუ იყენებს, რამდენად სწორად იყენებს სსკ-ით დადგენილ შეღავათებს;

(g) ორგანიზაციის მიერ გამოყენებული საგადასახადო განაკვეთები ყველა შესაბამისი გადასახადისათვის შევუდარეთ შესაბამის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს;

(h) შერჩევით გადავხედეთ ორგანიზაციის მიერ წარმოებულ პირველად სააღრიცხვო დოკუმენტაციას (ინვოისები, ფაქტურები, ზედნადებები, სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები, უწყისები და ა.შ.) და შევაფასეთ არსებობს თუ არა რაიმე არსებითი ხარვეზები დოკუმენტაციის წარმოებაში რასაც არსებითი საგადასახადო შეუსაბამობები შეიძლება მოყოლოდა;

(i) გავეცანით ორგანიზაციის მიერ გამოყენებულ შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების მეთოდებს და გავაანალიზეთ მათი შესაბამისობა მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობასთან;

(j) ჩანაწერების და დოკუმენტაციის გადახედვის გზით შევამოწმეთ, ახდენს თუ არა ორგანიზაცია ყველა შესაფერისი გადასახადის დაკავებას გადასახდელი თანხებიდან;

(k) გადავიანგარიშეთ გადასახადები და შევუდარეთ ორგანიზაციის მიერ წარდგენილი დეკლარაციების მონაცემებს. სადაც შესაფერისი იყო დავითვალეთ დამატებით გადასახდელი ან ზედმეტად დეკლარირებული გადასახადები;

ჩვენ არ ჩაგვიტარებია მარაგების ან ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია, რაიმე სახის ქრონომეტრაჟი, საკონტროლო შესყიდვები ან მსგავსი პროცედურები.

PKF

Accountants &
business advisers

დამოუკიდებელი მარწმუნებელი დასკვნა (გაგრძელება)

6. უპირობო დადებითი დასკვნა განსახილველ საკითხზე

ჩვენი აზრით, ორგანიზაციის საგადასახადო ანგარიშგება მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს 2013 წლის განმავლობაში ორგანიზაციის საქმიანობიდან წარმოშობილი გადასახდელი გადასახადების ოდენობას და ორგანიზაციის მიერ საგადასახადო ანგარიშგება საგადასახადო ორგანოებისადმი განსახილველ პერიოდებში წარმოებდა დროულად.

PKF UBC Services llc

PKF UBC Services LLC

PKF UBC SERVICES 204941144 "PKF UBC SERVICES" LLC

თარიღი: 26 ნოემბერი 2014 წელი